სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზნის საჯარო სკოლა

გურჯაანის რაიონი სოფ.მუკუზანი

☎ 577 94 47 05

E-mail: Mukuzani@mes.gov.ge ს/კ 227753197

LEPL GURJAANI MUNICIPALITY

VILLAGE MUKUZANI PUBLIC SCHOOL

Gurjaani village Mukuzani

☎ 577 94 47 05

E-mail: Mukuzani@mes.gov.ge I/D 227753197

10/12/2025

MES 5 25 0001765743

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზნის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზნის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზნის საჯარო სკოლის 2025 წლის 09 დეკემბრის 1/კ- 64 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზნის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი მაკა ლუაშვილი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 2 (ორი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

კახეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუკუზნის
საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სიდამონიძე-გამყრელიძე მაია